სამეწარმეო უნარი და ბიზნესის განვითარება

ლია კვარაცხელია, *სტუ-ს პროფესორი*
რუსუდან ქინქლაძე, *სტუ-ს პროფესორი*

Summary

The basis for any further development is contradictory Movement, which is devided into four stages according to Hegel's dialectic :

1. Identities (Internal differences)
2. Difference (External, non-existent difference)
3. Hostility (External significant difference)
4. Proper resistance

The above dialectics are basis of any event developments, which are experiencing movement and variation, including the business district and business district As economic developments. The path from less development manufacturing to highly development Manufacturing goes Through denial law.

****

ადამიანთა საზოგადოების განვითარების, ჯანსაღი კონკურენციის საფუძვლია სამეწარმეო უნარი, რაც სრულყოფს წარმოებას და ხელს უწყობს ცივილიზაციის განვითარებას. საწყის ეტაპზე მეწარმე გარკვეულ რისკს ეწევა. მან წინასწარ არ იცის რამდენად ეფექტიანი იქნება მის მიერ გამართული წარმოება, მაგრამ რისკს ფაქტორი იმ შემთხვევაში დაიყვანება მინიმუმამდე, თუ მეწარმეს გააჩნია ჭეშმატირი შემცნებისა და აღქმის უნარი. მეწარმეს, რომელსაც არ გააჩნია ეს უნარი, ბიზნესის დასაწყისშივე განწირულია კრახისათვის. სმითის აზრით, ადამიანი იმ ზომით არის მდიდარი ან ღარიბი, რა ზომითაც მას შეუძლია მოიპოვოს არსებობის, კომპორტისა და სიამოვნებისათვის საჭირო ნივთები.

ცნობილია, რომ ცნობიერება მხოლოდ მაღალგანვითარებული მატერიის, ადამიანის ტვინის თვისებაა. სიცოცხლის ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად წარმოიშვა გონიერი ადამიანი, რომელსაც აქვს შემეცნების განსაკუთრებული, ზუსტი აღქმის უნარი. ამ მოვლენის უფრო სრულყოფილი ახსნისათვის მოვიშველიებ კარლ მარქსის ცნობილ მოსაზრებას: ფუტკრი, რომელიც ფიჭას აშენებს, თვისი სიზუსტით ბევრ არქიტეტქტორს გააწბილებდა. ყველაზე ცული არქიტეტქორი განსხვავდება ფუტრისაგან იმით, რომ ის ჯერ გიაზრებს, იდეალურად წარმოიდგენს, გეგმავს, დასახავს და შემდეგ იწყებს მოქმედებას. ცხოველი მოქმედებს ინსტიქტების საფუძველზე, ადამიანი კი - მიზანმიმართულად. საქმის ვითარების გააზრებისა და შესაბამისი მოქმედებისათვის ადამიანს სჭირდება სინამდვილის შემეცნება და ცოდნა. ის, რაც ცხოველისათვის ბუნებრივია, ადამიანისათვის შეძენილია ცოდნით. ცნობიერება ინსტიქტის სანაცვლოდ - აი, ადამიანის ქცევის მთავარი განმსაზღვრელი მექანიზმი.

გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის შემეცნება ემყარება ცოდნას, მეწარმე, რომელსაც ცოდნისა და შემეცნების, აღქმის საუკეთესო უნარი გააჩნია, ბუნებრივია, წარმოების ფაქტორთა ეფექტინი კომბინაციის განხორციელებით აღწევს მაქსიმალური შემოსავლების მიღებას.

მეწარმე საქმიანობის დაწყების დღიდან ფიქრობს წარმოების მასშტაბის გაფართოებას და ეკონომიკური პროცესების სწორი შემეცნების საშუალებით აღწევს წარმოების განვითარებას. ეს ხდება სვლით მარტივიდან რთულისაკენ და მაინც, ის რაციონალური მარცვალი, რაზედაც ვითარდება ბიზნესი, არის სამეწარმეო უნარი.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: მარტივმა წარმოებამ როგორც შეიძლება მიაღწიოს განვითარების უმაღლეს ფორმას და რაში მდგომარეობს ბიზნესის დიალექტიკის (განვითარების) არსი.

ბიზნესის დიალექტიკის გაგებისათვის აუცილებელია მეწარმეობის წინააღმდეგობრივი განვითარების ბუნების სწორი გაგება. ჰეგელის იდეა წინააღმდეგობის განვითარების შესახებ, საფუძვლად უდევს ყოველგვარ განვითარებას. დიალექტიკის კანონები, რომლებიც წარმოადგენენ ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების განვითრების უზოგადეს კანონებს (1. რაოდენობრიობის თვისებრიობაში და პირუკუ გადასვლის კანონი; 2. დაპირისპირებულთა ერთიანობის და წინააღმდეგობის კანონი; 3. უარყოფის უარყოფის კანონი), ჰეგელს განხილული აქვს როგორც აზროვნების კანონი, „გონის ფენომენოლოგია", ლოგიკის მეცნიერება ეყრდნობა „ერთ გარკვეულ წანამძღვარს, აბსოლუტური ცოდნის ცნებას, ხოლო ეს უკანასკნელი არის მიზანი და რეზულტატი ცნობიერების განვითარებისა და გონის ფენომელოგიისა[1]". გონის განვითარების უმაღლესი ფორმაა ცოდნა. ჰეგელის მთელი ფილოსოფია გონის ფენომენოლოგიაშია. გონის განვითარება ეს არის ცნობიერების განვითარების სხვადასხვა საფეხურები, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს სხვადასხვა სფეროში. ეს იქნება კაცობრიობის ეკონომიკურ-პოლიტიკური ისტორია თუ ინდივიდუალური განვითარება. ჰეგელის ფილოფიის მიხედვით, მნიშვნელობა არა აქვს სად, რა სფეროში გამოვლინდება თვითმოძრავი და თავისთავის განმახორციელებელი აბსოლუტური გონი.

ყოველგვარი განვითარების საფუძველია წინააღმდეგობრივი მოძრაობა, რომელიც ჰეგელის დიალექტიკის მიხედვით ოთხ საფეხურს მოიცავს:

- იგივეობა (შინაგანი განსხვავება);
- განსხვავება (გარეგანი, არაარსებითი განსხვა-

1 კ. ბაქრაძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ.II. თბ.,1979, გვ. 59

ცხრილი 1

დიალექტიკა (ურყოფის უარყოფის კანონი)	ბიზნესის დიალექტიკა
იგივეობა - შინაგანი განსხვავება - არის ისეთი მოვლენის ერთგვაროვნება, რომელიც შეიცავს შინაგან განსხვავებას, ჩანასახშივე სპობს და ხსნის თავის თავს	ბიზნესის დასაწყისში - მცირე საწარმო. ამ ეტაპზე ბიზნესის შემდგომი განვითარების ამოსავალი მომენტი სამეწრმეო უნარი
განსხვავება - წინააღმდეგობის ახალი საფეხური, სადაც წარმოიქმნება ახალი, რომელიც ვითარდება ძველისაგან	მცირე საწარმო - იქმნება თვისებრივად ახალი ეკონომიკური ობიექტი. მაგ: მონოპოლია, ოლიგოპოლია და ა.შ. გრძელდება ძველის უარყოფა და ახლის შექმნა
დაპირისპირებულობა - ასახავს მოვლენის ორ მხარეს შორის „დაძაბვის ხარისხს“	სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა, საბაზო სისტემის დაცვა
საკუთრივ წინააღმდეგობა - წინააღმდეგობის კულმინაციური დონე	ანტიმონოპოლიური კანონების ამოქმედება, სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფა, რომელიც იცავს საბაზრო სისტემას

ვება);

- დაპირისპირებულობა (გარეგანი არსებითი განსხვავება);
- საკუთრივ წინააღმდეგობა.

აღნიშნული დიალექტიკა საფუძვლად უდევს ნებისმიერი მოვლენის განვითარებას, რომელიც განიცდის მოძრაობას და ცვალებადობას, მათ შორის სამეწარმეო უნარის და ბიზნესის, როგორც ეკონომიკური მოვლენის განვითარებას. უარყოფის კანონის საშუალებით ხდება სვლა ნაკლებგანვითარებული წარმოებიდან მაღალგანვითარებულ წარმოებამდე.

ბიზნესის განვითარების წინააღმდეგობრივი ბუნების ლოგიკური გაგება აუცილებლად მოიცავს წინააღმდეგობისა და უარყოფის ცნებათა ზუსტ წარმოდგენას. ცნობილია, რომ მოვლენებისა და პროცესების ყოველგვარი განვითარება ორ მომენტს გულისხმობს, ერთია უარყოფის მომენტი, მეორე - იგივეობის მომენტი. განსხვავება უარყოფის გარეშე შეუძლებელია. უარყოფას განსხვავება აუცილებლობით შეიცავს. მეორე მხრივ, იგივეობის მომენტის გარეშე არაფერი არ არსებობს. იგივეობა განსხვავებას უპირისპირდება, მხოლოდ ისეთი იგივეობაა ჭეშმარიტი, რომელიც განსხვავებას შეიცავს.

„ჭეშამარიტი, კონკრეტული იგივეობა თავის თავში შეიცავს განსხვავებას, ცვლილებას... ბუნების მკვლევართა უმრავლესობას წარმოუდგენია, რომ იგივეობა და განსხვავება შეურიგებელ დაპირისპირებულობებს წარმოადგენენ და არა ცალმხრივ პოლუსებს, რომლებსაც მხოლოდ მათ ურთიერთზემოქმედებაში, იგივეობაში განსხვავების ჩართვით გააჩნიათ ჭეშმარიტება“[2] .

გამომდინარე აქედან, ბიზნესის როგორც ეკონომური კატეგორიის განვითარება, ექვემდებარება ჰეგელის წინააღმდეგობრივი მოძრაობის კანონს. უარყოფის უარყოფის კანონის და მისი განვითარების დიალექტიკა შეიძლებ გამოვსახოთ შემდეგნაირად (ცხრილი1).

ბიზნესის დიალექტიკა, რომელიც ექვემდებარება უარყოფის უარყოფის კანონს, აუცილებლობით განიცდის განვითარებას. „სამყარო სურს თუ არ სურს, უნდა აეწყოს ლოგიკურ სისტემაზე, რომელიც თავად კვლავ მხოლოდ ადამიანის აზროვნების განვითარების გარკვეული საფეხურის პროდუქტს წარმოადგენს[3]“. „ბუნება არ შეიძლება არაგონიერი იყოს, ხოლო გონება არ შეიძლება ბუნებას ეწინააღმდეგებოდეს[4].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950;
2. კ. ბაქრაძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ.II. თბ.,1979.

2 ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950, გვ. 220.

3 იქვე, თბ., 57

4 იქვე, თბ., 22